

**21-ე საუკუნის განათლება - შებრუნებული საკლასო ოთახი**

ლელა გოგინაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

**ანოტაცია**

წინამდებარე სტატიით შევეცდები დავასაბუთო შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელისა და ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა. განვსაზღვრო მისი მნიშვნელოვანი როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში. ამგვარი მოდელით სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში აისახება. ერთი გაკვეთილის მაგალითზე განვიხილავ, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული მოდელის გამოყენება სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებას, რა შედეგების მიღწევას შესაძლებელი, როგორ უზრუნველყოფს მეთოდების კომბინირება მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებას, როგორია მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა.

**საკვანძო სიტყვები: მეთოდი, ტექნოლოგია, შებრუნებული საკლასო ოთახი**

დღევანდელი მსოფლიო ვითარდება და გამუდმებით იცვლება. საჭიროა სკოლებში იყოს ისეთივე დინამიური საკლასო ოთახი, როგორი დინამიურიც არის დღევანდელი მსოფლიო ჩვენს გარშემო.

ისმის კითხვა: როგორი იქნება სწავლება მომავალში?

იმისათვის, რომ მოსწავლე მოვამზადოთ 21-ე საუკუნის წარმატებული მოქალაქეობისთვის, არ ნიშნავს მხოლოდ ტექნოლოგიური ან გლობალური ეკონომიკისათვის საჭირო უნარების განვითარებას. 21-ე საუკუნის განათლება გულისხმობს ისეთი მრავალმხრივი უნარების განვითარებას როგორებიცაა:

- კრიტიკული აზროვნება
- პრობლემის გადაჭრა
- კომუნიკაცია
- თანამშრომლობა
- შემოქმედებითობა
- სამოქალაქო ჩართულობა
- კულტურული ცნობიერება
- ინიციატივა და პასუხისმგებლობა[1]

დღეს სამუშაოების დიდ ნაწილს კომპიუტერები ასრულებენ, კომპიუტერებს მართავენ ადამიანები. იმისთვის, რომ საქმე გააკეთონ, ადარაა საჭირო ზეპირი ანგარიში, ლამაზი კალიგრაფია, თუმცა აუცილებელია გააზრებული კითხვის უნარის ფლობა.

„არ ვიცი, როგორი იქნება მომავლის სამსახური, თუმცა ვიცი, რომ საიდანაც გვინდა იქიდან შევძლებთ მუშაობას, როგორც გვინდა და რა ფორმითაც გვინდა. დღევანდელი სკოლა, როგორ უწყობს ხელს ასეთი სამყაროსთვის მზადებას? – მთავარია, იყოს დიდი კითხვების კურიკულუმი. წახალისება გადამწყვეტი ელემენტია. უნდა შევხედოთ სწავლას, როგორც საგანმანათლებლო თვითორგანიზაციის პროდუქტს. ჩემი მიზანია შევქმნა ისეთი თვითორგანიზებული სწავლების გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ინტერნეტის, კოლაბორაციისა და წახალისების შერწყმით“. (სუფატა მიტრა- „ააშენე სკოლა ღრუბლებში“) [2]

„ცვლილებები თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად ხდება. სიახლის მიმართ დადებითი განწყობა ცვლილების უკეთესად გათავისებისა და პრაქტიკაში დანერგვის საშუალებას იძლევა. სიახლის ინიცირების საშუალება მასწავლებელსაც აქვს, განსაკუთრებით სასწავლო მეთოდების და გაკვეთილზე ინოვაციური მიდგომების დანერგვის კუთხით.“ (მერაბ ლაბაძე - „მე უნდა ვიყო ღია სიახლისადმი“)[3]

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, სწავლის სტილს. მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები, რესურსები და აქტივობები. ერთ-ერთი ასეთი მოდელია **შებრუნებული საკლასო ოთახი**.

რა განსხვავებაა ტრადიციულსა და შებრუნებულ საკლასო ოთახს შორის, რა შედეგებს გვაძლევს შებრუნებული საკლასო ოთახის დანერგვა?

ტრადიციული საკლასო ოთახები თითქმის ყველგან ერთნაირად გამოიყურება. მოსწავლეები სხედან რიგებად ჩამჭკრივებულ მერხებთან და უყურებენ, როგორ უხსნის მათ მასწავლებელი ახალ მასალას. მიუხედავად შესაძლებლობების ან მომზადების დონისა, ყველა მოსწავლე ზუსტად ერთსა და იმავე ინფორმაციას იღებს ერთსა და იმავე დროში. მოსწავლეები განსხვავებულად პასუხობენ მასწავლებელს, მიუხედავად იმისა, რომ მან ყველა მოსწავლეს ერთნაირად აუხსნა. დღის ბოლოს მოსწავლეებმა საშინაო დავალება უნდა შეასრულონ სახლში. მათ უწევთ მასწავლებლის ახსნილის გახსენება. ზოგი მოსწავლე ყველაფერს იგებს და აკეთებს, ზოგი კი სასოწარკვეთილია, რომ ვერ ახერხებს საშინაო დავალების შესრულებას. მასწავლებელი აცნობიერებს, რომ ყველა მოსწავლეს განსხვავებული მიდგომა სჭირდება, მაგრამ ეს დამატებით დროსა და რესურსს მოითხოვს, რითაც სკოლა მათ ვერ უზრუნველყოფს. ამ პრობლემის გადაჭრის ერთერთი გზა **„შებრუნებული საკლასო ოთახია“**, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება. მოსწავლეები სხდებიან სახლში და უყურებენ იმ ვიდეოგაკვეთილს, რომელიც მათ მასწავლებელმა დავალება მისცა. ზოგი მოსწავლე ჩვეული ტემპით მუშაობს, ზოგი დაინტერესებულია, ვინაიდან მას შეუძლია გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები, წინ გადაახვიოს ვიდეომასალა, მისთვის ადვილი საკითხები გამოტოვოს და საინტერესო საკითხებზე გადავიდეს, ზოგი კი აღარაა სასოწარკვეთილი, ვინაიდან ახლა მას შეუძლია გადაახვიოს მასალა უკან და განმეორებით უყუროს იმას, რაც მისთვის ბუნდოვანი იყო. მოსწავლეებს

შეუძლიათ დახმარებისთვის მიმართონ თანაკლასელებს ონლაინში ისეთი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, როგორცაა „ედმოდო“. [4]

**შ.ს.ო-ის** შემთხვევაში საკლასო გარემოც განსხვავებულია ისევე, როგორც საშინაო დავალების მომზადების პროცესი. მასწავლებელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში მერხებს შორის დადის და ამოწმებს მოსწავლეები თანამშრომლობენ თუ არა ერთმანეთთან. ზოგ მოსწავლეს შედარებით რთულ დავალებას აძლევს კლასში შესასრულებლად, ზოგს ეხმარება იმ საკითხების უკეთესად გაგებაში, რაც მისთვის ბუნდოვანი იყო ან ვერ გაიგო.

ტრადიციული სწავლების შემთხვევაში მასწავლებელი აკავშირებს მოსწავლეს ცოდნასთან, **შ.ს.ო-ის** შემთხვევაში კი მოსწავლე თავად იღებს ცოდნას, მასწავლებელი უბრალოდ ფასილიტატორის ფუნქციით იფარგლება. **შ.ს.ო-ის შემთხვევაში** ხდება ტექნოლოგიების მიზანმიმართული გამოყენება ისე, რომ მოსწავლე და მასწავლებელი მაქსიმალურად იყენებენ თავის დროსა და ძალისხმევას. **შ.ს.ო-ის** შემთხვევაში მოსწავლეები სახლში ახორციელებენ იმ სამუშაოებს, რომლებიც ტრადიციულის შემთხვევაში კლასში, ხოლო კლასში აკეთებენ იმ დავალებებს, რომლებიც ტრადიციულის დროს სახლში ხორციელდება. შებრუნებული საკლასო ოთახის შემთხვევაში სახლში ეცნობიან ახალ მასალას, ხოლო კლასში ახდენენ მის გამტკიცებას.[4]

გთავაზობთ გაკვეთილს, რომელიც ჩატარდა **შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელის** შესაბამისად და რომელიც მრავალმხრივი უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

### **გაკვეთილის თემა: „ვულკანები“**

კლასი: მეორე

საგანი: ბუნებისმცოდნეობა

### **გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ცოდნის სიღრმისეულად გააზრება/განმტკიცება.
- ახალი ცოდნის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში.
- ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა:

კომუნიკაცია განჭვრეტა/ჰიპოთეზის გამოთქმა, ცდის დაგეგმვა და ჩატარება, მოდელის შექმნა და გამოყენება, დაკვირვება და აღწერა, უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობის გააზრება.

### **გამოყენებული მეთოდების ეფექტურობა და მათი მოკლე აღწერა**

#### **კორნელის ჩანაწერების მეთოდი**

ეს მეთოდი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების

განვითარებას, საკითხის უკეთესად დამახსოვრებას, ამარტივებს

მონაცემების დახარისხებასა და დამუშავებას. მოსწავლეებს უვითარდებათ დავალებაზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, წერიტი მეტყველების კულტურა, ეროვნული სასწავლო გეგმით მოცემული გამჭოლი პროირტიტული კომპეტენციები. ჩანაწერების გაკეთება შესაძლებელია ლექციის მოსმენისას, სახელმძღვანელოს წაკითხვისას, ვიდეოს ყურებისას და ჯგუფური დისკუსიის დროს. შესაძლებელია წინასწარ მოვახდინოთ კითხვების ფორმულირება სათაურის სტრიქონში, რომელსაც მოსწავლემ უნდა გასცეს პასუხი ვიდეოგაკვეთილის ყურების ან ტექსტის წაკითხვის შემდეგ. ეს მეთოდი

გთავაზობთ კორნელის გრაფის მოდელს

|                                      |   |
|--------------------------------------|---|
| თემის სათაური<br>სახელი გვარი თარიღი |   |
| ძირითადი იდეები<br>შეკითხვები        | მნიშვნელოვანი საკითხები<br>მოკლე წინადადებები<br>მნიშვნელოვანი ინფორმაცია<br>ნახატი, რომელიც ინფორმაციის<br>გახსენებაში დაგეხმარება |
| დასკვნა                              |   |

განსაკუთრებით ეხმარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებს.

**ცდებს, ექსპერიმენტებსა და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს** დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველების შესწავლისას განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლეს უფრო მეტად აქვს განვითარებული მხედველობითი აღქმა. ცდების ჩატარების დროს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ საკლასო ოთახში ხელოვნურად ნახონ ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენა და იქვე შეამოწმონ მათ მიერ წინასწარ გამოთქმული ვარაუდი. უვითარდებათ ისეთი უნარები როგორცაა: ბუნების ობიექტებისა და მოვლენებს შორის ცნებების ჩამოყალიბება, შედარების და დასკვნების გაკეთების უნარი. ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება, ინტერესი, პასუხისმგებლობა. კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მაძიებლობა და აღმოჩენა.[5]

**დაკვირვება** - ბუნებისმეტყველების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის გამოყენებას დაწყებით საფეხურზე, რადგან ამ ასაკის მოსწავლეებს სწორედ დაკვირვების შედეგად უყალიბდებათ გარემომცველ სამყაროზე კონკრეტული წარმოდგენები.

უვითარდებათ: დაკვირვება, მეხსიერება, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა და სხვა [5]

**ილუსტრაციებზე მუშაობა-** ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ილუსტრაციებს, სურათებს, ფოტოებს, ნახატებს, კინოფილმებს, ვიდეორგოლებს და სხვა. ასეთი მასალები მოსწავლეთათვის ცოდნის შეძენის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამალეებს სწავლების ეფექტურობას, ხელს უწყობს დამოუკიდებლად მუშაობას. მოსწავლეებს უვითარდებათ შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარები.[5]

**მისაღწევი შედეგები:**

ბუნ.II.7 .

ბუნ.II.8.

**გაკვეთილის აღწერა**

გაკვეთილი მიმდინარეობს „შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელით“. მოსწავლეებს გაკვეთილის გამოწვევისა და წვდომის ფაზები სახლში აქვთ გასავლელი.

წინა დღით მოსწავლეებს ბუკებში კლასის მართვის პროგრამის ფაილის გავრცელების რეჟიმით მივაწოდე ჩემ მიერ შექმნილი დამხმარე რესურსი ვიდეოგაკვეთილი „ვულკანები“,[6] ასევე ბუკებში გადავუგზავნე შესავსებად კორნელის ჩანაწერების ცხრილი. მივეცი მითითები, რომ ყურადღებით გაეცნონ გადაგზავნილ ფაილს და ინსტრუქციების შესაბამისად შეავსონ იგი. შესრულებული სამუშაო მოიტანონ შემდეგ გაკვეთილზე და ერთმანეთს გაუზიარონ. ვიდეოგაკვეთილი, რომელიც წინასწარ გავამზადე, მოსწავლეებს დახმარებას გაუწევს თავად შეიმეცნონ ახალი მასალა სახლში მუშაობის პროცესში. მათ საშუალება ეძლევათ ვიდეოს მოუსმინონ იმდენჯერ, რამდენიც საჭიროა მათთვის ინფორმაციის გასაგებად, გასაანალიზებლად და სამუშაოს სწორად შესასრულებლად. მომდევნო გაკვეთილზე რეფლექსიის ფაზა გრძელდება საკლასო ოთახში ერთ გაკვეთილზე წარმოდგენილი მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეები მთელი გაკვეთილის განმავლობაში აქტიურად არიან ჩართული ფიქრის, მსჯელობისა და შემოქმედების პროცესში.

**აქტივობა 1 (7წუთი)**

**დავალება მთელი კლასისთვის**

ვიდეოგაკვეთილის „ვულკანები” განხილვა კორნელის ჩანაწერების მიხედვით. მოსწავლეები ჯგუფებში აკეთებენ დასკვნებს და პასუხობენ კითხვებს:

- როგორი მთაა ვულკანი და რა იცით მის შესახებ?
- რა საფრთხის მოტანა შეუძლია მას?
- რა ჰქვია მთის ჩაღრმავებულ წვეროს?
- სიძლიერის მიხედვით რამდენი სახის ვულკანი არსებობს?
- როგორია ჩამქრალი ვულკანი?

**აქტივობა 2 (5წუთი)**

მუშაობენ ინდივიდუალურად.

მოსწავლეებს ურიგდებათ ფურცლებზე ამობეჭდილი წინადადებები გამოტოვებული სიტყვებით. მათ უნდა იპოვონ დაკარგული სიტყვები და ჩაწერონ შესაბამის ადგილას.

ვულკანი ისეთი მთაა, რომლის მწვერვალიდან დროდადრო, ან მუდმივად ამოიფრქვევა გამდნარი ქანები, რომელსაც ----- ეწოდება. განასხვავებენ ორი სახის ვულკანს ----- და ----- . მთის ზედა ნაწილზე არსებობს წრიული ჩაღრმავება, რომელსაც ----- უწოდებენ. აფეთქების სიძლიერის მიხედვით ვულკანი ----- სახისაა.

**აქტივობა 3 – (5 წთ)**

ვორდის სავარჯიშო: სურათებს შევუსაბამოთ შესაბამისი ტექსტი

გთავაზობთ სავარჯიშოს ნიმუშს.

მოსწავლეებს ბუკებში კლასის მართვის პროგრამაში ფაილების გავრცელების რეჟიმით გადავუგზავნე პროგრამა ვორდის ტექსტურ რედაქტორში გამზადებული სავარჯიშო. მოცემულია ფოტოები და შესაბამისი ტექსტები. მათ უნდა მოძებნონ კონკრეტული სურათის შესაბამისი ტექსტი მოეჭიდონ და მიიტანონ საჭირო ადგილას.

სურათებს შევუსაბამოთ შესაბამისი წინადადებები.



*მოქმედი ვულკანიდან დროდადრო ან მუდმივად ამოიფრქვევა გაფრთხილებული მასა, რომელსაც ლავას უწოდებენ*

*მთის წვეროზე არსებობს წრიული ჩაღრმავება, რომელსაც კრატერი ჰქვია.*

*ლავა სწრაფად მოძრაობს ვულკანის მთის ფერდობზე და გზადაგზა ველიაფერს ანადგურებს. გაციბისას კი უზარმაზარ ლოდებად იქცევა.*

*ეს ჩამქრალი ვულკანია*

**აქტივობა 4-- (15 წთ )**

ჯგუფური მუშაობა - კლასი გაიყოფა სამ ჯგუფად. მასწავლებელი აძლევს დავალებას - დამოუკიდებლად გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემული ცდის ჩატარების ინსტრუქციას. პრეზენტაციის დროს კი უპასუხონ ტექსტის ქვემოთ მოცემულ კითხვებს. ცდის ჩატარებამდე ჯგუფებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი იმაზე, თუ რა მოხდება. პასუხები უნდა დაფიქსირდეს დაფაზე, რათა შემდგომ მოახდინონ შედარება ვარაუდსა და გაკეთებულ დასკვნას შორის. შემდეგ ჩაატარებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ცდას. (მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ცდისთვის საჭირო ნივთებს).

მოსწავლეები პლასტილინისგან აკეთებენ „მთას“, რომლის გულში მოთავსებულია შუშის პატარა ბოთლი. ბოთლში ნახევრამდე წყალია ჩასხმული. შემდეგ ყრიან სოდას და ასხამენ ძმარს. აკვირდებიან და აკეთებენ დასკვნას.

**აქტივობა 5- 6 წთ**

ცდის შედეგებისა და დასკვნების პრეზენტაცია .

ჯგუფის ლიდერები დაფასთან აკეთებენ ზეპირ პრეზენტაციას. ერთმანეთს ადარებენ ჯგუფის მიერ წინასწარ გამოთქმულ ვარაუდს, რომელიც დაფიქსირებულია დაფაზე და ცდის შედეგად გაკეთებულ დასკვნას. (პასუხობენ კითხვებს: აღწერეთ მიღებული შედეგი, რა დაინახეთ? რა კავშირს ხედავთ ამ ცდასა და ვულკანის მოქმედებას შორის?)

**აქტივობა 6 -7წთ --შეჯამება**

მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ ცხრილის სვეტებს.

| რა ვიცი | რა გავიცე | რა მაინტერესებს | მოსწავლეებს ურიგდებათ ფორმატის ფურცლებზე ამოებჭდილი ცხრილები. მათ უნდა შეავსონ ცხრილის სვეტები. პირველ სვეტში ჩაწერონ ის, რაც იცოდნენ მანამდე, სანამ სახლში ვიდეოგაკვეთილს ნახავდნენ. მეორე სვეტში დაწერონ ყველაფერი ის, რაც გაიგეს და დაიმახსოვრეს გაკვეთილის ჩატარების შემდეგ, მესამე სვეტში კი - მათთვის საინტერესო კითხვები. |
|---------|-----------|-----------------|--|
|         |           |                 |  |



**შეფასება**

მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას დაკვირვების საფუძველზე.

- როგორ შეავსეს კორნელის ჩანაწერების გრაფა და როგორ იმსჯელეს ვიდეო გაკვეთილის საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის შესახებ .
- როგორ იპოვეს დაკარგული სიტყვები( ემთხვევა თუ არა კონტექსტს);
- როგორ იმუშავეს ვორდის სავარჯიშოს შესრულებაზე.
- როგორ იმუშავეს ცდის ჩატარებაზე(ჯგუფებში ჩართულობა).
- რამდენად ორიგინალური იყო პრეზენტაცია.
- როგორ ასრულებდნენ წერით დავალებას.
- რამდენად გაითვალისწინეს დროის ლიმიტი.

შესაძლებელია მოცემული მიმართულებები კრიტერიუმებადაც ჩამოვაყალიბოთ და წარმოვადგინოთ ანალიტიკური შეფასების რუბრიკის სახით.

**ამრიგად:** ახლებური მიდგომების დანერგვა, პირველ რიგში, მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში აისახება. **შებრუნებული სწავლებისას** მოსწავლეები თვითონ სწავლობენ მასალას ვიდეოგაკვეთილების დახმარებით, რომლებიც მასწავლებლის მიერ არის მომზადებული, კლასში კი ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოებს. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, მოსწავლეებს უვითარდებათ ეროვნული სასწავლო გეგმით მოცემული გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციები. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011- 20016)
2. Sugata Mitra - <https://www.youtube.com/watch?v=y3jYVe1RGaU>
3. <http://www.mastsavlebeli.ge/?action=news&npid=2-> ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი - „მე უნდა ვიყო ღია სიახლისადმი“ - მერაბ ლაბაძე
4. ტრენინგმოდულის „შებრუნებული საკლასო ოთახი“ მასალები - მარიკა ჩიტაძე
5. სწავლების მეთოდები - მაია ბლიაძე
6. იდეოგაკვეთილი - „ვულკანები“ <https://www.youtube.com/watch?v=zJthFCepF-4&feature=youtu.be>

სურათი- 1, ცხრილი - 2